UNITED NATIONS
GEORGIA

გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ჩარჩო-დოკუმენტი: საქართველო 2021-2025

თბილისი, 18 სექტემბერი, 2020

რა არის მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ჩარჩო დოკუმენტი

- გაეროს სტრატეგიული განვითარების გეგმა საქართველოში შემდეგი ხუთი წლისათვის 2021-2025
- საქმიანობების დაგეგმვის, განხორციელებისა და მიღწეული შედეგების კოორდინირებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი
- 2016-2020 მდგრადი განვითრების პარტნიორობის დოკუმენტის მემკვიდრე
- განსაზღვრავს საქართველოს მთავრობასა და გაეროს შორის ურთიერთობებს
- გაეროს ანგარიშვალდებულის ინსტრუმენტი საქართველოს მთავრობასთან

ჩარჩო-დოკუმენტის შემუშავების პროცესი

- შეიქმნა საკონსულტაციო და მონაწილეობითი მიდგომით
- ეფუძნება ქვეყნის ამჟამინდელი მდგომარეობის შეფასებას
- გაეროს უკვე განხორციელებული განხორციელებეულ საქმიანობების შეფასებას 2016-2020
- აგებულია შემდეგ პრინციპებზე: 1. არავინ დარჩეს განვითარების მიღმა; 2. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა. 3. გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერება; 4. [საზოგადოების] მედეგობა, 5. [განვითარება] მდგრადობა და 6. [გაეროს] ანაგარიშვალდებულება
- ითვალისწინებს იმ შესაძლებლობებს, რომელიც მიიღწევა ასოცირების ხელშეკრულებითა და მდგრადი განვითარების 2030 მიზნების თანხვედრით
- ითვალისწინებს განვითარების გზაზე ცვლილებების განხორციელებას და რისკების შეფასებას
- ითვალისწინებს კოვიდ 19 გავლენას განვითარებაზე
- ითვალისწიებს გაეროს შედარებით უპირატესობას [ნორმატული, პოზციონირებასა და შესაძლებლობებს]

UNITED NATIONS
GEORGIA

ძირითადი გამოწვევები

- სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი და შემოსავლების უთანასწორობა;
- სივრცობრივი და სოციალური დაყოფა;
- კონფლიქტის შედეგად ადგილნაცვალი მოსახლეობა;
- მოსახლეობის დაბერება და მისი კლება;
- მთავრობის უწყვეტი მცდელობა - სამართლის ხელმისაწვდომობა დისკრიმინაციის გარეშე და კორუფციის სრულად დაძლევა;
- კლიმატის ცვლილება და გარემოს მართვა;
- ადამიანური კაპიტალის განვითრება: უნარების განვითარება;
- სოციალური შეჭიდულობისა და ნდობის ნაკლებობა;
- მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების და პოლიტიკის თავსებადობის ნაკლებობა;
- კოვიდ 19 უარყოფითი გავლენა განვითარებაზე.

არავინ დარჩეს განვითარების მიღმა

უთანასწორობის ძირითადი მაწარმოებლები	დისკრიმანიციის ფაქტორები	მოწყვლადი ჯგუფები
• ეკონომიკის სტრუქტურა და პროდუქტულობა • სახელმწიფო ინსტიტუტები • სოციალური ინფრასტრუქტურა • კლიმატის ცვლილებები და ბენებრივი რესურსების მენეჯმენტი • სოციალური ნორმები	• სქესი, ასაკი ან უნარშეზღუდულობა • გეოგრაფიული ადგილი და მყიფე ეკოლოგია • კლიმატური შოკისა და ბუნებრივი კატასტროფებისადმი მოწყვლადობა • მმართველობის [კანონები, პოლიტიკა] გავლენა • სოციო-ეკონომიკური სტატუსი	• განათლების მიღმა დარჩენილი ახალგაზრდები • ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ქალები და გოგონები სოფლად • კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ადამიანები • ბავშვები ეთნიკური უმცირესობებიდან და რისკის ქვეშ მყოფი პირები • უნარშეზღუდული პირები • დევნილები, მიგრანტები, ადგილნაცვალი, მოქალაქეობის არ მქონე და თავშესაფრის მაძიებელი პირები • LGBTIQ • სოფლად მცხოვრები მცირე ფერმერები

UNITED NATIONS
GEORGIA

პრიორიტეტები და ცვლილებების თეორია

- პრიორიტეტების გამოყოფა და ცვლილებების თეორიის შემუშავება, რომელიც მიმართულია „გადაჭრის გზებზე“
- ცვლილებების თეორია ითვალისწინებს: გაეროს უპირატესობას, მის პრინციპებს და საქართველოში განხორციელებული საქმიანობების გარე შეფასების დოკუმენტს
- ცვლილებების თეორიას აქვს ერთი პრიორიტეტი -

ადამიანთა კეთილდღეობის, შესაძლებლობებისა და სოციალური თანასწორობის გაუმჯობესება საქართველოში 2025 წლისათვის.

გრძელვადიანი შედეგები

2025 წლისათვის:

1. საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს გაუმჯობესებული კარგი მმართველობით, მეტად ღია და ანგარიშვალდებული ინსტიტუციებით, კანონის უზენაესობით, თანაბარი ხელმისაწვდომობით სამართალზე, ადამიანის უფლებები, და ქალების გაზრდილი წარმომადგენლობა და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში.
2. საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს აქვს თანასწორი და ინკლუზიური ხელმისაწვდომობა ხარისხიან, მედეგ და გენდერულად სენზიტიური სერვისებზე, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო ადამიანის უფლებების სტანდარტით
3. საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანი დისკრიმანიციის გარეშე სარგებლობს მდგრადი, ინკლუზიური და მედეგი ეკონომიკით
4. კონფლიქტით დაზარალებული თემები ისარგებლებენ ადამიანის უფლებებით, გაუმჯობესებული ადამიანის უსაფრთხოებითა და მედეგობით
5. საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანი, დისკრიმინაციის გარეშე, იცხოვრებს უფრო მედეგ გარემოში, რაც მიიღწევა გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი მართვის, კლიმატის ცვლილებაზე რეაგირებისა, და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვისა და გამოყენების პრიცნციპებზე აგებული ღონისძიებების გატარებით.

UNITED NATIONS GEORGIA

ზოგადი პრიორიტეტი: ადამიანების კეთილდღეობის, შესაძლებლობებისა და თანასწორობი გაძლიერება

5 გრძელვადიანი სტრატეგიული შედეგი

1: საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს გაუმჯობესებული კარგი მმართველობით,მეტად ღია და ანგარიშვალდებული ინსტიტუციებით, კანონის უზენაესობით და თანაბარი ხელმისაწვდომობით სამართალზე და ადამიანის უფლებებზე, და აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღებაში

2: საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს აქვს თანასწორი და ინკლუზიური ხელმისაწვდომობა ხარისხიან, მედეგ და გენდერულად სენზიტიური სერვისებზე, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო

3: საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანი დისკრიმანიციის გარეშე სარგებლობს მდგრადი, ინკლუზიური და მედეგი ეკონომიკით

4: კონფლიქტით დაზარა-ლებული თემები ისარგებლებენ ადამიანის უფლებებით, გაუმ-ჯობესებული ადამიანის უსაფ-რთხოებითა და მედეგობით

5: საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანი, დისკრიმინაციის გარეშე, იცხოვრებს უფრო მედეგ გარემოში, რაც მიიღწევა გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი მართვის, კლიმატის ცვლილებაზე რეაგირებისა, და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვისა და გამოყენების პრიცნციპებზე აგებული ღონისძიებების გატარებით

სტრატეგიული შედეგების მდგენელები [სულ 15]

1.1: ინკლუზიური ეროვნული და ადგილობრივი დონის მართვის სისტემები არიან უფრო მედეგი და გენდერული მეინსტრიმის მქონე შესაძლებლობები უზურნველყოფენ მტკიცებულებებზე დაფუძნებული და მონაწილეობითი პოლიტიკის შემუშავებას, უთანსწორობის გამოვლენას, შეფასებასა და ხარისხიანი მომსახურების მიწოდებას ყველასთვის.

1.2: ეროვნული კანონმდებლობა და პოლიტიკა - დისკრიმინაციის აღმო-ფხვრა, გაუმჯობესებული ადამიანის უფლებების დაცვა და თანაბარი ხელმისაწვდომობა სამართალზე

1.3: საკანონმდებლო ჩარჩო, პოლიტიკა და მართვის სისტემები მიაწოდებენ გენდერულად თანასწორ შედეგებს, ებრძვიან გენდერული ნიშნით ძალადობას, და ბავშვთა მიმართ ძალადობისა და სხვა მავნე პრაქტიკებბს გოგონათა და ქალთა მიმართ

2.1: გაუმჯობესებული ეროვნული შესაძლებლობები თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველმყოფელი პროგრამებისა და პოლიტიკის დასანერგად, ხარისხიანი ჯანდაცვისა და სასურსათო სერვისებისა, და რეპროდუქციული უფლებების დაცვას ყველასთვის, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

2.2: ეროვნული შესაძლებლობების გაძლიერება ისეთი პოლიტიკისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით რომლებიც უზურნველყოფს ინკლუზიური და თანაბარ ხელმისაწვდომობას საერთაშორისოდ სტანდარტის ხარისხიან საგანმანათლებლო პროგრამებზე

2.3: გაუმჯობესებული ეროვნული კანონმდებლობა და შესაძლებლობები რომე-ლიც იცავს საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს დისკრიმინაციის გარეშე,, განსა-კუთრებით ყველაზე მოწყვლად და მარგი-ნალიზებულ ჯგუფებს, და უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობასა და ხარისხიან სოციალურ სერვისებს

3.1:კერძო სექტორის გაუმჯოობესებული კონკურენტუნარიანობა და სოციალური პასუხისმგებლობა

3.2: მდგრადი და ინკლუზიური სოფლის და სოფლის განვითარება. სასურსათო სისტემების გაუმჯობესება და უკეთესი სააარსებო პირობები

3.3: სრულფასოვანი, პროდუქტიული დასაქმება, და ღირსეული შრომის შესაძლებლობა, უნარების განვითარება და ეფექტური ეროვნული სოციალური დაცვის სისტემა

4.1: კონფლიქტით დაზარალე-ბულ მოსახელობას აქვს უკეთესი ხელმისაწვდომობა აუცილებელ სერვისებზე - განათლება, ჯანდაცვა და პანდემიაზე რეაგირება, იურიდიული კონსულტაცია და დახმარება

4.2: სოციო-ეკონომიკური პირობების, თემისა და თვით-მედეგობის გაძლიერება ადგილობრივი და ადგილნაცვალ პირებზე მიმართული პროგრამებით

4.3: მეტი სივრცე დიალოგისა და მონაწილეობისათვის რაც აძლიერებს სამოქალაქო საზოგადოებასა და საზოგადოების სოციალურ კავშირებს/შეჭიდულობას

5.1: გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი მმართველობა და ინსტიტუციური შესაძლებლობები ბუნებრივი/მიწის რესურსების რაციონალური, თანაბარი და მდგრადი გამოყენების უზრუნველსაყოფად, ეკოსისტემების კონსერვაციისა და მოსახლეობის სტიქიური უბედურების მიმართ მდგრადობის შესანარჩუნებლად

5.2: AFOLU, ჯანმრთელობის, წყლის უსაფრთოხების, მშენებლობის, ენერგეტიკისა და სურსათის წარმოების სექტორების კლიმატზე მორგებული, მდგრადი და რისკების შესახებ ინფორმირებულობით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე განვითარება, რათა გაძლიერდეს მიწის დეგრადაციის ნეიტრალურობის პრინციპზე აგებული კლიმატის ცვლილებაზე ადაპტაციისა და მისი უარყოფითი შედეგების შერბილების შესაძლებლობები

5.3: ინოვაციური და კლიმატზე მორგებული ტექნოლოგიების გამოყენება ინკლუზიური მწვანე ეკონომიკის, ენერგოეფექტურობის და ალტერნატიული, სუფთა ენერგიის წარმოებაში ეროვნულად განსაზღვრული წვლილის ხელშეწყობისა და დეკარბონიზაციისკენ მიმართული გრძელვადიანი სტრატეგიების მხარდაჭერა

თანამშრომლობის ჩარჩო დოკუმენტის ძირითადი და ურთიერთმკვეთი თემები

თემატური საკითები	ურთიერთმკვეთი საკითხები
გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და ეფექტური მმართველობა 1. კანონის უზენაესობა, სამართლზე თანაბარი ხელმისაწვდომობა, ადამიანის უფლებები; 2. ღია და ანგარიშვალდებული საჯარო მმართველობა; 3. ქალების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში. **ადამიანური კაპიტალი** 1. ჯანმრთელობა; 2. განათლება; 3. სოციალური დაცვა. **მდგრადი ეკონომიკა** 1. მდგრადი საარსებო პირობები; 2. კერძო სექტორის განვითარება. **ადამიანის უფლებები, უსაფრთხოება და მედეგობა** - კონფლიქტით დაზარალებული თემები. **კლიმატისა და გარემოს მართვა** 1. კლიმატის ცვლილებებზე რეაგირება 2. გარემოს დაცვითი მმართველობის გაუმჯობესება 3. ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა	უთანასწორობისა და გარიყვის დაძლევა როგორც მიზანი და მიდგომა ადამიანის უფლებები, როგორც ნორმატული ჩარჩო მდგრადი განვითარების მიზნებისა და ასოცირების ხელშეკრულების ინტეგრაციის ხელშეწყობა დარგობრივი პოლიტიკის ჩათვლით სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, ადვოკატირების და მათ მიერ განხორციელებული საქმიანობებისა და მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერება ადვოკატირების გაძლიერება თემატურ საკითხებზე მდგრადი განვითარების მიზნების განხორცილებაზე კერძო სექტორთან თანამშრომლობა განვითარებაზე ორიენტირებული თანმიდევრული თანამშრომლობა

განხორციელების უზრუნველყოფა

ერთობლივი სამეთვალყურეო კომიტეტი [საქართველოს მთავრობა და გაერო]

გაეროს სააგენტოების ერთობა

თანამშრომლობის ჩარჩო დოკუმენტის შედეგების შეფასების ჯგუფი

- ეფექტური, გამჭივრვალე და ანგარიშვალდებული ინსტიტუტები
- თანაბარი და ინკლუზიური ხელმისაწვდომობა ხარისხიან სერვისებზე
- ინკლუზიური ეკონომიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება
- ადამიანთა უსაფრთხოება და მედეგობა
- გარემო და კლიმატის ცვლილება

თემატური/დამხმარე ჯგუფები

- გენდერის თემატური ჯგუფი
- კომუნიკაციის ჯგუფი
- ოპერაციული მენეჯმენტის ჯგუფი
- შიდსის/აივ ერთობლივი ჯგუფი
- ადამიანის უფლებების თემატური ჯგუფი
- კატასტროფების მენეჯმენტის ჯგუფი
- გაეროს მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი
- ახალგაზრდების განვითარების თემატური ჯგუფი

გაეროს ერთიანი გუნდი

გაეროს ერთიანი გუნდი:

- არის გადაწყვეტილების მიმღები და თანამშრომლობის ჩარჩო დოკუმენტის მაკოორდინირებელი ერთეული
- აფასებს მიღწეულ შედეგებს და ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობასთან ერთობლივი სამეთვალყურეო საბჭოს ფორმატში
- ახდენს მიმდინარე შესწორებებს უკვე დამტკიცებულ დოკუმენტში
- ახდენს ტექნიკური, ოპერაციული და ფინანსური შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას თანამშრომლობის ხელშეკრულების შესრულებისთვის.
- 19 ორგანიზაციისაგან [რეზიდენტი და არა რეზიდენტი ერთად], საიდანაც 14 რეზიდენტია
- არსებული კონფიგურაცია ეფუძნება და ითვალისწინებს ორგანიზაციის ძლიერ მხარეებს და შესაძლებლობებს, აფასებს სისუსტეებს და ახდენს რისკების მენეჯმენტს.

მდგრადი განვითარების მიზნების და თანამშრომლობის დაფინანსება

- გაეროს დაფინანსება მხოლოდ კატალიზატორია იმისათვვის რომ მოიძიოს სხვა ინოვაციური და არაკონვენციონალური დაფინანსების წყაროები
- ის ასევე შემავსებელია, რამდენადაც ნაწილია უკვე არსებული მყარი მდგრადი განვითარების მიზნების 2030-სთვის არსებული დიდი ფინანსური წყაროების [საჯარო თუ კერძო, შიდა და გარე]
- გაეროს დაფინანსება ასევე ითვალისწინებს სხვა განვითარებაზე ორიენტირებული პარტნიორების შეფასებებ და იქცევა ერთგვარ ბერკეტად დაფინანსების მოძიებისათვის.
- მდგრადი განვითარების მიზნების დაფინანსებს დაფუძნებული იქნება კოვიდ-19 ფისკალურ შედეგებზე
- თანამშრომლობის დაფინანსების ჩარჩო იქნება მომზადებული თანამშრომლობის ხელშეკრულების გაეროს გუნდისა და სახელმწიფოს მიერ ხელმოწერის შემდეგ

UNITED NATIONS
GEORGIA

მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის